პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---დეკემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


01.72.58.033.202
01.72.58.033.194
72.16.33.119
72.16.33.120
01.14.16.008.010
01.14.16.008.074
01.14.16.008.073
01.14.16.008.073
01.14.16.008.012
01.14.01.001.143
01.14.01.001.440
01.14.02.003.09
01.14.02.002.085
01.14.01.001.440
01.14.01.001.422
01.14.02.004.001
01.14.01.001.441
01.14.01.001.442
01.14.01.001.054
01.14.02.004.004
01.14.01.001.176
01.14.01.001.175
01.14.01.001.391
01.14.02.004.005
NAPR
NAPR
NAPR
NAPR
NAPR
NAPR
ამბრძოლთა ქუჩა
ამბრძოლთა ქუჩა
ამბრძოლი ტაძიძის ქუჩა
ამბრძოლი ტაძიძის ქუჩა
ამთოლ ვერაძის ქუჩა
ამთოლ ვერაძის ქუჩა
ამთოლ ვერაძის ქუჩა
ამთოლ ვერაძის ქუჩა
ნინო ფანდიანის ქუჩა

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

06 - 03232971 - 03

23 / ოქტომბერი / 2023 წ.

KA011775076335123

№ **228710**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: გიორგი სლივინის
მის.: ლუარსაბ ბოცვაძის ქუჩა N 2

ქალბატონო ნინო,

2023 წლის 26 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") წარედგინა გიორგი სლივინის განცხადება (სააგენტოს დოკუმენტების ბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 244730/17), რომლითაც ითხოვს ინტერაქტიულ რუკაზე - maps.gov.ge ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ავთო ვარაზის ქუჩის პარალელურად მხატვართა ქუჩის ასახვას, ასევე, შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მისამართების კორექტირებას.

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე მდგომარეობით სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრში ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 13 თებერვლის № 03.04.30 დადგენილების საფუძველზე რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით - "მხატვრის ქუჩა" (იხ. დანართი). თუმცა, აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი არ მდებარეობს განმცხადებლის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩის პარალელურად მდებარე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული არ არის. საქმისათვის არსებითი გარემობების გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ინფორმაცია განმცხადებლის დაინტერესებაში არსებულ გეოგრაფიული ობიექტი მიმდინარე მდგომარეობით სახელდებულია თუ არა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ინფორმაცია სახელწოდების, სახელდების თარიღისა და დოკუმენტის თაობაზე.

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, იმსჯელოთ მისი სახელდების შესაძლებლობაზე.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0323020148**
თარიღი: **20/01/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციიდან შემოსულ წერილთან დაკავშირებით (2022 წლის 29 აპრილის საქმე #10/032211751-03), რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ მირიან მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის და პეტრე იბერის შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში თეიმურაზ კაკულიას სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია
GEORGIAN TENNIS FEDERATION

№106

27/04/2022

10/03221751-03

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ევროპის ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულსა და პრიზიორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ქართველი წარმატებული ჩოგბურთელების აღმზრდელს, მათ შორის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის და ათეულობით საერთაშორისო ღონისძიებების გამარჯვებულის ლეილა მესხის მწვრთნელს თეიმურაზ კაკულიას შეუსრულდებოდა დაბადებიდან 75 წელი.

გთხოვთ, ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალი დამსახურების გათვალისწინებით და მისი სახელის უკვდავსაყოფად თქვენი შეხედულებისამებრ მიანიჭოთ მისი სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის.

პატივისცემით

პრეზიდენტი

თიბლისი 0179, რამიშვილის ქ. 20
20, Ramishvili Str. Tbilisi 0179, Georgia
ტელ./ფაქსი: (995 32) 2100012



თეიმურაზ კაკულია

(1947-2006)

ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი 91-ე ჩოგანი.ევროპის ექვსგზის ჩემპიონი, მონაწილეობა მიიღო "გრანდ სლემის" 16 ტურნირში (32 შეხვედრიდან 15 მოიგო). ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა "დევისის თასის" 15 მატჩში.

დიდი სლემის ტურნირებზე ერთეულთა თანრიგში კაკულიას საუკეთესო მიღწევა აშშ-ის ღია პირველობის მეოთხე რაუნდში გასვლა იყო, ხოლო წყვილებში იგი ალექსანდრე მეტრეველთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა 1973 წელს. ერთეულთა რეიტინგში კაკულიას უმაღლესი პოზიცია იყო 91-ე, 1975 წელს.

მისი სხვა მიღწევებიდან აღსანიშნავია ევროპის ოთხგზის ჩემპიონობა მოყვარულთა შორის, სსრკ-ს 6 ჩემპიონის ტიტული (ალექსანდრე მეტრეველთან ერთად წყვილთა თანრიგში 1972–76 წლებში და შერეულ წყვილებში მარინა ჩუვირინასთან ერთად 1969 წელს). კაკულია 3-ჯერ გახდა სსრკ-ს თასის გამარჯვებული 1972, 1975 და 1976 წლებში. იგი 11 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ-ს საუკეთესო მამაკაც ჩოგბურთელთა ათეულში. მონაწილეობას იღებდა დეივისის თასზე სსრკ-ს ნაკრებში. კაკულია იყო საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1977) და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. წლების განმავლობაში იყო ლეილა მესხის პირადი მწვრთნელი.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ თავის სხდომაზე დაამტკიცა რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული 1976 წლის შედეგების მიხედვით, სადაც თეიმურაზ კაკულია 1976 წლის საქართველოს მეექვსე საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.